სტამბა და რედაქცია
ფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურო ქარვასლა
ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
მიმართავენ რედაქციის დილის
-3 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიის.
დ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

სიტყვა-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 5 მან., და 50 კაპ.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 თებერვალს

თული დრამატიული დასისაგან ქ-ნ ნ. პ. რენელისა და ბ. დ. მეს-
ხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

პირველად ახალი პიესა:

**სიკოია დენჩიკი**

სამ მოქმედ. კომედია გადმ. რუსულიდან დ. მესხის-მიერ.

II

**ნება მიბოძეთ ბატონო**

კომ. ორ მოქ. გადმ. კერესელიძის-მერ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

ჯაშნიკეთ ახალი მო-
სავლის ღვინოები

ამა წლის ვენახის თეთრი და წითელი საუკე-
თესო ახალი მოსავლის ღვინის ფასი. ვედრო ...
ბოთლის ფასი ... 1 მ. და 30 კ.

ჯაშნიკეთ ახალი მო-
სავლის ღვინოები

ღვინის სარდაფი

**„იყალთო“**

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ.
„როსსიას“ ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავ-
ხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

**„იყალთო“**

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე,
ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
**„ИКАЛТО“**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д Ан-
тонова, подъ гост «Россія» (75 50)

ექიმი **ი. ია. გოკიელოვი**
იღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს
და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით
12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.
ლდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.
ქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე-
შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
ვის ქუჩა, სახლი № 31, მარჯაროვისა, სოლოლაკი. (20—7)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფე-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. კ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-
ცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ.
ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **ქართული თეატრი.** დღეს ჩვენს თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ყველა ჩვენი არტისტები. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „სიკოია დენჩიკი“, და ვოდევილი „ნება მიბოძეთ ბატონო“, სადაც მთავარ როლს თამაშობს ვ. აბაშიძე.

*** **თავად-აზნაურთა სხდომა.** 16 თებერვალს ტფილისის სათავად-აზნ. სადგ.-მამ. ბანკში მოხდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სხდომა. ეს სხდომა უმთავრესად მოახმარეს გუბერნიაში ერობის შემოღების საქმის განხილვას. ამ კითხვის დაწვრილებით და ვრცლად გამორკვევის შემდეგ გამოითქვა ის სურვილი, რომ აღძრულ იქნეს შუამდგომლობა ტფილისის გუბერნიაში 1890 წლის ერობის დებულების სრული სახით შემოღების შესახებ.

დამსწრეთ მიანდვეს თავ. დ. ზ. მელიქიშვილსა და რამდენსამე სხვა თავად-აზნაურს განმარტების ბარათის პროექტის შედგენა. ამ ბარათს განიხილავს თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივი კრება 2 მარტს და შემდეგ წარუდგენენ უმაღლეს მთავრობას.

შემდეგ სხდომამ განიხილა გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრების შუამდგომლობა შესახებ სათავად-აზნაურო კრედიტის სახელმწიფო ბანკში, და დაადგინა ეთხოვოს ბანკს მიიწვიოს ხოლმე კომიტეტში თავად-აზნაურთა წარმომადგენელნიც, იმ თავად-აზნაურთა სიმრავლის გამო, რომელნიც ვაჭრობა მრეწველობას მისდევენ და სახელმწიფო ბანკის კრედიტს საჭიროებენ. დასასრულ სხდომამ განიხილა სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა განცხადება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ აღძრულ იქნეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე გამიჯვნის დაჩქარების შესახებ.

*** **ერობის საქმე კავკასიაში.** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრმა ბ. საკოვმა 16 თებერვალს წარუდგინა საზოგადოების რჩევას მოხსენება კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. ეს მოხსენება, რჩევისაგან განხილვის შემდეგ, გადაეცემა განსახილველად წევრთა საზოგადო კრებას, რომელიც უნდა მოხდეს 24 თებერვალს.

*** **წერა-კითხვის საზოგადოების შემოსავალ-გასავალი.** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბათომის სკოლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშიდან, რომელიც შეეხება დროს 1893 წლიდან 1899 წლამდე, სჩანს რომ სკოლას ამ ხნის განმავლობაში ჰქონია შემოსავალი 22,454 მ. და 68 კ., დახარჯვია იმდენივე.

*** **დარჩენილ ხარჯების აკრეფა.** 16 თებერვალს ტფილისის პოლიცმეისტერმა ინსტრუქცია და წინადადება მისცა პოლიციის ყველა ბოქაულებს იმის შესახებ, რომ იქონიონ მათ სასტიკი ზედამხედველობა პოლიციის მოხელეთაგან

სახელმწიფო და საერო გადასახადთა დარჩენილი ხარჯების საჩქაროდ მოკრეფაზე და ამფუძლის დროიანად წარდგენაზე, სადაც ჯერ არს.

*** **საქართველოს სამხედრო გზის მდგომარეობა.** კობიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ 16 თებერვალს იქ დიდი თოვლი მოდიოდა; ყაზბეგსა და ჯვარს შუა მიმოსვლა შეწყვეტილია. მოსალოდნელი ხიფათის გამო, კობს ზევით მუშაობა არ წარმოებს.

*** **ცეცხლის წაკიდება.** თელავის მაზრის სოფ. ყვარელში ამას წინად ადგილობრივი მცხოვრების გლეხის ალექსი კაკოლაშვილის რვა წლის ქალს, მშობლების სხვაგან ყოფნის დროს, შუა ოთახში ცეცხლი აუნთია. ავარდნილა ალი და ცეცხლი წაჰკიდებია სახლის ჭერს. შემდეგ ცეცხლი გადასულა მეზობლის სახლზე და ორივე სახლი მთლად გადაბუგულა, მთელი იმ ქონებით, რომელიც ამ სახლებში იმყოფებოდა.

*** **თოვლი ტფილისში.** ეს მესამეჯერ გვესტუმრა თოვლი ტფილისში. გუშინ-წინ მთელი ღამე ითოვლა და კარგა სქლად დასდო თოვლი, ასე რომ მარხილებმა დაიწყეს სიარული.

*** **ქ. გორი.** **ლატარიების შესახებ.** შარშანაც გაზ. „ცნ. ფ.“-ში იბეჭდებოდა ხოლმე ლატარიების შესახებ და ეხლაც უნდა ვაცნობო ჩვენს მკითხველებს.. ხმა გაისმის ამას და ამას ლატარია აქვსო და დანიშნულ დროს იკრიბებიან ერთ ადგილას რომელიმე საცეკვაოთ მომზადებულ სახლში. ნეტავ ვიცოდეთ რად იმართება ლატარია? ვის გულისთვის? უეჭველია ისევ თავიანთ ჯიბეებისათვის. მანეთიან ნივთ რამეს აგდებენ და აგროვებენ თერთმეტ მანეთამდის. ნეტავ ამისთანა უწეს რიგობას ყურადღება ვინმე მიაქციოს და დააშლევინოს ამისთანა საქმე, რომელიც ჰბადავს ხან ჩხუბს და ხან სხვა-და-სხვა მხეცურს საქციელს...

კ—ილ.—ფრონ.—ჰი—ელი.

*** **ქიზიყი** **ერთგვარი სენის გამო.** „ურიამ ეკალზედ გადაკიდებული გველი ნახა და სთქვა: ჰირი ჰირზე გადაუბამთო“. ეს ანდაზა გამახსენა ერთმა ამბავმა, რომელსაც ქვემოთ გაუწყებთ. სიღნაღის მაზრის ს. ბოდბე-მაღაროს მხრით მეზობლობს ყაზახის მაზრა (განჯის გუბერ.). კაცის ენა ვერ გამოსთქვამს რამდენს უბედურებას და ბოროტებას ამთხვევს ეს მაზრა და რა აუარებელს ზარალს აძლევს დაუწყნარებელი მხეცური ლტოლვილებით და ქურდ-ბაცაცობით განთქმული მაზრა ჩვენს მშვიდს და დინჯს მაზრას და ნამეტნავად ბოდბე-მაღაროს. თვე არ გავა, თორემ თვე-კვირა რა არის, კვირა ვერ მიბრუნდ-მობრუნდება ისე, რომ ყაზახის თათრებმა საქონელი არ დასტაცონ ბოდბე-მაღაროელებს. წარსულ წელს მარტო ერთ გლეხს მაჰარაშვილს შვიდჯერ მაინც დაესხნენ ბინებზედ დაააწიოკეს იმისი მწყემსები და საქონელი. უკანასკნელ ხანებში ერთბაშად მოსტაცეს მაჰარაშვილს 16 ძროხა და ოთხი ცხენი. რამდენი ამისთანა ტაციაობა და ძალ-მომრეობაც სხვა ჩაიდინეს, მაგრამ ვინ მოსთვლის ყველას! ადგილობრივი ადმინისტრაციასულ იმის ცდაში იყო და არის კიდეც, როგორმე საქმე მოაგვაროს და ეს მაზრა შეიკავოს, ან როგორმე თავისი სამზღვრები გაიმაგროს ყაზახელ ნადირულ ტაციობისაგან, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ „კაცი ბჭობს და ღმერთი საქმეს განაგებსო“, ადმინისტრაციასაც ასე ემართება.

როგორც ნამდვილის წყაროდგან გავიგეთ სახელმწიფო ქონებათა გამგებელი მეცადინეობს ყაზახის მაზრიდგან ორი თათრის სოფელი—სადახლო და შიხალა-სიღნაღის მაზრაში, ელდარზედ დაასახლოს. „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო“. სწორეთ ასევე დაემართება სიღნაღის მაზრას. ელდარზედ ძველთაგანვე რამდენიმე თათრის საზოგადოებებია ჩასახლებული. ეს თათრებიც, როგორც სხვა ამათი მოდგმანი, ცნობილნი არიან ყაჩაღობით და ძარცვა-გლეჯით. ელდარი მდებარეობს შირაქის ახლო, სადაც მთელი ქიზიყის საქონელი და ზამთრობით მთელი ფშავ-ხევსურ-თუშების ცხვარი ტრიალებს. ელდარის თათრები მოსვენებას არ აძლევდნენ მწყემსებს და წამ და უწუმ თავს ეცემოდნენ საქურდლით. დიდი შრომა დასჭირდა მთავრობას როგორმე აელაგმა ეს თათრები და მიეჩვია წყნარ და სარგებლიან მეურნეობისათვის. დიდი ცდისა და მეცადინეობის შემდეგ, როგორც იყო ალაგმა ეს ხალხი და რამდენადაც შესაძლებელი იყო მოაშლევინა ტაციაობა. ეხლა კი თუ სახელმწიფო ქონებათა გამგებლის მეცადინეობა აუხდა, ამ ელდარელ თათრებსაც ხელ-ახლა აეშლებათ მადა ტაციაობისა. რადგან საბუთი ექმნებათ, ყველა ბოროტ-მოქმედება ახლად ჩასახლებულთ და მათ მიმდევართ ნაცნობთ დაახწიონ თავზე. თუ მართლა ჩაასახლეს აქ ყაზახელი თათრები, მართლაც ჰირი-ჰირზედ გადაეკიდება და შირაქში მყოფმა მწყემსებმა, რომ ეხლავე ხელი აიღონ თავიანთ სამწყემსოებზედ ის ერჩივნებათ, მუდამ ვაი-ვაგლახსა, სისხლის ღვრას და კაცის კვლას თავის ქონების დასაცველად.

ურიგო არ იქნება ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს და ვიდრე აღნიშნულ თათრებს გადმოასახლებდნენ ადგილობრივ პირობების მიხედვით ცნობები შეაგროვონ. საჭიროა საქმე უფრო ძირიანად გაისინჯოს და მისი სიგრძე სიგანე გამოირკვეს ეხლავე, თორემ მარტო ფორმალური—კანცელარიაში სასაქმის განხილვა—გადაწყვეტა იმისთანა არა სასიამოვნო და უკიდურესს გარემოებამდის მიიყვანთ მკვიდრთ და შირაქის მწყემსებს, რომ სულ უბრალო მოსაზრების მსხვერპლათ შეიქმნებიან და რამდენსამე კომლ თათართ ენაცვლებიან. ეხლავე თუ ამაზედ არ იფიქრეს, გვიან-ღა იქნება ბოლოს ნეკსა ზედა კბენანი.

გორჯასპისშვილი

*** **სოფ. სვიმონიანთ ხევი** (თიონ. მაზ.) **წერა-კითხვის სკოლა.** აგერ ერთი წელიწადია, რაც სკოლა დაარსდა სოფ. სვიმონიანთ ხევში. ჯერ კარგათ მიდის მისი საქმე. მოწაფენი ბლომად დადიან სკოლაში, მაგრამ სამწუხარო ერთი რამ არის. თუმცა საკუთარი სკოლა გვაქვს, არტანის ხევის სკოლის ფულსაც გვახდევინებენ, და ეს მით უმეტეს არ არის სასიამოვნო, რომ არტანის ხევის მასწავლებელი ტყუილად სცდება, სრულიად უსაქმოდ არის. ძალიან კარგს ინებებდნენ, ვისიც ჯერ არს, რომ ამ მასწავლებელს სვიმონიანთ ხევში გადმოიყვანდნენ, რადგან აქ მოწაფეთა სიმრავლე მეორე მასწავლებელსაც მოითხოვს.

სკოლაში წერა-კითხვას მამა ალ. გულისაშვილი ასწავლის. მ. ალექსის დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის თავის მრევლისა და ახლად გახსნილ სკოლის წინაშე ერთი წლის სკოლის მოწაფეებისათვის მას გალობა შეუსწავლებია და მოწაფეებმა კიდეც მშვენივრად იგალობეს დღესასწაულებზე ეკკლესიაში. დიდი მადლობის ღირსია ყოველივე ამისათვის მ. ალექსი.

მნახველი

*** **დ. ზესტაფონი** (შორ. მაზ.). **ორიოდე სიტყვა აქაურ წიგნთ-საცავ-სამკითხველოზე.** ხუთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ზესტაფონში წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსდა, მაგრამ დღემდის კიდევ არ შეგვეძლო აქაური წიგნთ საცავ-სამკითხველო არსებულად ჩაგვეთვალა, რადგან ხსენებული სამკითხველო ჯერ წეს-რიგს და რიგიან წინამძღოლობას მოკლებული იყო. გარდა ამისა, ყველა აქაური მკვიდრნი და აგრეთვე დროებითნი მცხოვრებნიც გულცივად ე[...] ჰქეროდნენ და არავითარ დახმა[...] ბას არ უწევდენ მას. ამის გამო ს[...] კითხველო ქონებრივად ძრი[...] ღარიბი იყო. ყოველივე ამის [...] თავრესი მიზეზი ის იყო, რომ ხუთი წლის განმავლობაში ე[...] ისეთი გამგე არ იქნა არჩე[...] სამკითხველოსთვის, რომელი[...] ლწრფელად მოჰკიდებოდა თა[...] მოვალეობის ასრულებას, თუ[...] ყოველთვის გამგისათვის ქირას[...] დიდა სამკითხველო.

თუმცა ქონებრივად არც [...] არის ჩვენი სამკითხველო მდი[...] რი, მაგრამ დღეს მაინც შე[...] ლია ვთქვათ სამკითხველო გ[...] სო, რადგან უკეთეს საფუძვ[...] დგას და ისეთი პირნი უწევენ მზრუნველობას, რომ აწ მისი [...] ცევა თუ დაცემა ძნელი წარ[...] სადგენია. საიმედოა, რომ სა[...] თხველოს ახლანდელი გამგე[...] და ყველა მისი დამაარსებე[...] პირნი არ დაივიწყებენ თავ[...] მოვალეობის და მასთან თავ[...] სიტყვებს წიგნთ-საცავ-სამკით[...] ლოს კეთილ დღეობის შე[...] უთუოდ საქმეთ აქცევენ.

დღემდის სამკითხველო ვერ[...] მარჯვე ადგილზე მოთავსებუ[...] დღეს კი, ახალი გამგეობის მ[...] დინეობით, ყველასათვის დასა[...] ადგილზე იქმნა გადატანილი, ხელდობრ, შუა ბაზარში, [...] გარ. შენობაში. დასასრულ[...] მოვნებით აღვნიშნავთ, რომ[...] ლად დაქირავებული ბიბლიო[...] რი ნამდვილი გულ-შემატკ[...] პირი უნდა იყოს სამკითხველ[...] თვის. იმედია, ის ბევრად [...] წაიყვანს საქმეს, ვინემ აქამდე მიჰყავდა, გარდა ამისა ახალი [...] ლიოთეკარი თავის საშრომ [...] საც, რაც ეკუთვნის, თითქმის ნახევარზე ნაკლებს იღებს.

*** **ს. ზანა.** (სამეგრელო) **მეოფობანი.** ჩვენს სოფელ[...] უკანასკნელ დროს მეტად გა[...] და სხვა-და-სხვა სნეულებან[...] უწყალოდ ჰხოცავს ხალხს ყვ[...] ბატონები, კისერა, ინფლუ[...] და სხვა და სხვა ჯურის ავა[...] ფობანი იმდენად მოფენილია სოფელში, რომ შიშით კაც[...] რედ ვერ გამოსულა. მიზ[...] გვარის ხშირის სიკვდილისა [...] ლებისაგან არის ის, რომ [...] აქაური უმეტესი ნაწილ[...] მორწმუნეა და თუმცა-ღა სა[...] გვაქვს საავადმყოფო მას[...] როგორც მაგალითად ფე[...] და აფთიაქი, მაგრამ ხალხი [...] ბად სცემს პატივს და ბრმა[...] ყვანებიან სოფლის მკითხავე[...] სხვა ცრუ მორწმუნოებას, [...] ლის შედეგია ხშირი სიკვდ[...]

-ცრუ-მორწმუნეობანი ყვავილ-
ანებზე. ვინმეს თუ შეეყარა
ილ-ბატონები, მერე მისთვის
ელივე სხვანაირია. ექიმს არ
ყვანებენ—ბატონები იწყენსო.
ოჯახში, სადაც ყვავილით ავად-
ეი წევს, ყველა რომ შიმში-
დაიხოცოს, არაფერს არ და-
ეფ, არამედ მეზობლებიდან
ეთ ყველაფერი. ბატონებმა
ეგითვალო, რომ ესა და ეს გა-
ეზავნეო და რაც უნდა შეუ-
ეონ—ყველაფერს გაუგზავნიან
არწმუნებით, რომ, თუ კი არ
ეზავნეთ ბატონები ჩვენ გვეს-
რებაო. კუთხეში ჩალას მიაყ-
და ჰურჭლით წყალს დაუდ-
ენ ვითომ ბატონების თეთრი
ი მიირთმევსო. სიტყვა „თვალს“
ახსენებენ—ავათმყოფს თვალე-
დაუბრმავდებაო. მერე მოიყვა-
ენ რამდენიმე ნაყვავილევ კა-
და ბატონებისთვის შეახვე-
ენ: „ბატონებო, ჩვენს ავათ-
მიეცი სარკე (თვალი) და
(კისერი)“ და სხვანი. რო-
იქნება, რომ ხალხის ამ გვარ
ცრებას და ბრმა თაყვანებას
ო მოეღოს!...

გურულ-მეგრელი.

. **ოჩამჩირე** (აფხაზეთი) სა-
გებლო გასართობას საჭიროე-
მარშან ზაფხულში მშვენიერი
დაებადათ ოჩომჩირელებს.
ისო სამკითხველოს დაარსება
წარმოდგენის გასამართავად
ის აშენება. მაგრამ ჯერჯე-
ით სამწუხაროდ არც ერთი
რც მეორე აზრი განხორციე-
ელი არ არის, თუმცა ოჩამ-
, სადაც თითქმის ყველა მცხოვ-
ი ქართველები არიან, ყოველ
ვარ სასარგებლო გასართობს
ლებულია, რის გამო მცხოვ-
ი თავიანთ ჯანმრთელობას და
ბას ბოლოს ულებენ მყრალ
უზნეო ყავახანებში, სადაც
ა და პატიოსან ადამიანს ერთს
აც არ გაეძლებინება.

ფულით კი, რომელსაც აქ,
ავახანაში ფლანგვენ ერთმანე-
გასათახსირებლად, ადვილად
ლებოდა ზემოხსენებულის აზ-
განხორციელება. თუ გული
ობს, ქალა ორის ხელით იქ-
. სამკითხველო და სათეატ-
შენობის ასაგები ადგილი
იერი გვაქვს: ეს არის ეგრედ
ებული „ბულვარი“ ზღვის
, სადაც ამ ჟამად ყავახანაა
ესებული, რომელიც სუფთა
სწამლავს თავისი უსუფთაო-

97 წ. საზოგადოებამ გადა-
ტა რა სამკითხველოს დაარ-
კიდეც შეაგროვა სამკითხვე-
თვის 70 მან. აქედან ცხადია,
ოჩამჩირელები გულით არიან
ინებულნი ამ კეთილი საქ-

მის განსახორციელებლად და ვისურვებთ, რაც შეიძლება მალე მიეხწიოთ ამ მიზნისათვის.

— **კიდევ უსუფთაობაზე** სამწუხაროა ოჩამჩირის ქუჩების და საზოგადოდ დაბის სანიტარული მდგომარეობა. ასეთი უსუფთაობა ჯერ არ მოგვსწრებია ოჩამჩირეშიო, ამბობენ მოხუცნი. ვერც ერთს ქუჩაზე კაცი ვერ გაივლის ისე, თუ ცხვირზე ხელი არ მიიფარა. სასურველია, რომ დაბის პატრონებმა თვალი გაალონ და იზრუნონ თავიანთ ჯანმრთელობისთვის, თორემ სანამ ინდოეთიდან გვესტუმრებოდეს, მანამდის ოჩომჩირეში დაიბადება სახელოვანი შავი ჭირი.

— **ამინდება და ავადმყოფობა.** ჩვენს აფთიაქარს კიდევ არა ჰყავს თანაშემწე.

ჩვენს დაბაში ყელ-ჭირვებაა; მომრიგებელ მოსამართლეს ორი შვილი მოუკლა.

თოვლი ჩვენში არ მოსულა, ამ უკანასკნელ დროს სუსხიანი ტაროსი დაიჭირა.

კ. გვასალია.

$^{*}_{**}$ **ზემო-ქართლი.** საშინელი მევახშეობა. ამ დღეებში, როგორც მკითხველთაც მოეხსენებათ, სტატსკი სოვეტნიკის მეუღლე ვერა ნიკოლოოზის ასულს პოლონსკისას და ტფილისის მაზრის უფროსის თარჯიმანს კოლლეჟსკი სეკრეტარი ნიკოლოზ დავითის ძე გვარამაძეს იმ დანაშაულის გამო, რომ მათ ერთად პირობა შეჰკრეს, ფული დიდი სარგებელით აძლიეს სხვა და სხვა გაჭირებულ პირებს და იღეს სარგებელი 12% მეტი, ოლქის სასამართლომ მიუსაჯა ყოველივე ღირსების აყრა და გაგზავნა საცხოვრებლად ასტრახანის გუბერნიაში, თუ პოლონსკისას და გვარამაძეს 12%-ის აღებისათვის ასეთი მძიმე სასჯელი მიესაჯათ, რაღა სასჯელი ეკუთვნით ზემო-ქართლელ მევახშეებს, რომლებთაგან ბევრი არამც თუ 12%-ს არამედ 450%-საც იღებს?! მათთვის ასტრახანიც ხომ ძალიან ახლო უნდა იყოს! იქნება გაიკვირვოთ და სთქვათ: როგორ შეიძლება 450%-ის აღებაო?! მაგრამ აქაურ მევახშეებისთვის ეს სულ ადვილი მოსახერხებელია. აქაურ ფულის გამსესხებელ ჩარჩებს სარგებლის მაზანდა გადაწყვეტილი აქვთ თუმანზედ თვეში ათი შაური, რომლის ანგარიშით მოდის 60%. ეს კიდევ არაფერი! ზემო-ქართლელ გლეხს ას კომლში ერთს ძლივს თუ მიჰყვება მოსვლამდის სარჩო, სხვას ყველას აკლდება და ამის გამო იძულებულია მიმართოს რომელსამე ჩარჩს და გამოართვას პირნახული რამოდენიმეს დაყრით, მაგალითად: რომელსამე გლეხს დააკლდა აპრილის თვეში სარჩო; ის მიმართავს აქაურ გამოჩენილ მევახშეთ. ან ტერ-დავით მიხითაროვს და ან იმის მსგავს სხვას, გამოართმევს მას ჯელს ხორბალს თითეულს კოდს (ჩვენებური კოდი რვა ჩანახია, ანუ ხუთი ფუთი) ექვსი ჩანახის დაყრით, რომელიც ორის თვის შემდეგ, ე. ი. კალოობაზედ უნდა მისცეს,— სახელდობრ უნდა მისცეს კოდის მაგიერ თოთხმეტი ჩანახი, რომლის ანგარიშით მოდის სარგებელი 450 პროცენტი. აქედამ ცხადათ სჩანს, რომ პოლონსკისა და გვარამაძეზე უუჯიათესნი მრავალნი ყოფილან. ნუ თუ მოვესწრებით იმ დღეს, რომ ჩვენ დაქვეითებულ ზემო ქართლშიაც აილაგმონ მევახშეები?!

ალელი სერგი

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

მრეწველობა სხვა-და-სხვა სახელმწიფოში. 1897 წლის სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ წლივ მზადდება 35 მილიარდ ფრანკის საქონელი, ინგლისში—$20^1/_2$ მილიარდის, გერმანიაში 14 მილიარდის და 675 მილიონისა, და საფრანგეთში—$11^1/_4$ მილიარდისა. ამ ქვეყნების შემდეგ მისდევს: ავსტრ-უნგრეთი (8,125 მილიონი ფრანკი), რუსეთი (5,075 მილიონი), იტალია (3 მილიარდი), ბელგია ($2^1/_2$ მილიარდი), ისპანია (2,125 მილიონი) და შვეიცარია (800 მილიონი).

აუარებელ საქონლის მზადება შეერთებულ შტატებში აიხსნება ნედლი მასალის სიმრავლით ამ სახელმწიფოში და მანქანების დიდი გავრცელებით. ერთი მუშის წლიური ნაწარმოები ამერიკაში უდრის 9,440 ფრანკს, ინგლისში 3,950-ს, გერმანიაში 2.850-ს, საფრანგეთში და ბელგიაში 2,165-ს, რუსეთში 1,905-ს და იტალიაში 1.325 ფრანკს.

საშვალო წლიური სამუშაო ქირა ქარხნებში უდრის ამერიკაში 1,748 ფრანკს, ინგლისში 1,025-ს, საფრანგეთში 875-ს, ბელგიაში 825-ს, გერმანიაში 775-ს და, ბოლოს, რუსეთში და ისპანიაში 660 ფრანკს. უმთავრესი მიზეზი წარმოების ნაყოფიერებისა არის ორთქლის ძალა: რაც შეერთებულ შტატებს ორთქლის ძალა აქვთ, უდრის 18 მილიონ ცხენის ძალას, ინგლისში ორთქლის ძალა უდრის 12 მილიონ ცხენისას, გერმანიაში—9 მილიონს, საფრანგეთში—5-ს, ავსტრო-უნგრეთში $2^1/_2$-ს რუსეთში—2-ს და ბელგიაში ერთ მილიონამდე.

## რჩეული აზრები

—

ოთხი საგანია ქვეყანაზედ, რომლის დაბრუნება ადამიანს არასოდეს აღარ შეუძლიან: ახალგაზდობა, დრო, წარმოთქმული სიტყვა და ქალწულობა.

## გასართობი

—

ერთხელ ღმრთისმეტყველსა ჰკითხეს: კაცმა ცოლი როგორი უნდა შეირთოსო? მან უპასუხა: ისეთი მდიდარი ცოლი არ უნდა შეირთოთ, რომ მისი ქონებით თქვენ იცხოვროთო; ცოლი არ უნდა იყოს თქვენზე განათლებული, რომ თქვენს წინაშე ამაყობდეს; უნდა იყოს ახალგაზდა, რომ გემსახუროთ; ლამაზი, რომ მოგწონდეთ და ბოლოს უნდა იყოს მორცხვი, რომ არ გიღალატოთო.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

15 თებერვალი

**პეკინი.** ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს რკინის გზათა დირექტორად ნამყოფის ხუ-იუ-ფენის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდების განხილვა, ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. დღითი-დღე ვრცელდება სიძულილი უცხო-ქვეყნელთა მიმართ. იმ რეაქციონულ გავლენას, რომელსაც ჩან-ი იჩენს ისე უყურებენ, როგორც ინგლისის ელჩის წინააღმდეგ მოქმედებას. ამ ელჩის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევენ. ზოგიერთმა მდიდარმა გერმანელმა ვაჭრებმა გერმანიის ელჩს მიართვეს პეტიცია, რომელშიაც ამბობენ, რომ საჭიროა ხუ-იუ-ფენი ხელ ახლა იქმნას დანიშნული, რადგანაც, ვშიშობთ, ჩან-ის მოქმედებამ ვაჭრობას ზარალი არ მოუტანოსო.

**პარიზი.** სენატი შეუდგა იმ პროექტის განხილვას, რომლის ძალითაც დრეიფუსის საქმის ხელახლა გარჩევის ნება არ უნდა მიეცეს საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას. მაქსიმ ლეკონტმა განაცხადა, რომ პროექტი კონსტიტუციის წინაღმდეგია, იგი არღვევს მართლ-მსაჯულების დამოუკიდებლობასაო.

**მადრიდი.** „რეფორმა“ აცხადებს, რომ უცხო სახელმწიფოთა ზღვაოსანნი მანილიაში გადასხეს თავიანთის თანამემამულეთა დასაცველადაო.

**პარიზი.** გამომძიებელმა პასკმა, რომელსაც მინდობილი აქვს დერულედისა და გაბერის საქმის გამოძიება, დღეს ჩვენება ჩამოართვა გენერალ როჟეს.

სენატი. შეეხო რა ბორეპერის ბრალდებათ, ლეკონტმა სთქვა, რომ მაზოს გამოძიების შედეგი სასარგებლო გამოდგა სასამართლოს ბრალდებულ წევრებისათვისაო. ორატორმა უსაყვედურა მაზოს, ლეკონტმა დაუმატა, რომ ეს გამოძიება—აწინდელის დროის სამარცხვინო საქციელად ჩაითვ-

ლებაო. დასასრულ ორატორმა სთქვა, რომ მომავალი განაჩენი სასურველ მშვიდობიანობას ვერ დაამყარებსო (აქა იქ ტაშის ცემა გაისმა). მომხსენებელი ბისსეილი პროექტს იცავდა.

**გონკონგი**. ფილიპინების მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, ფილიპინელები დაუმტკიცებენ მთელ განათლებულ ქვეყანას, რომ ისინი მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლონ ამერიკელების წინააღმდეგ. დედაკაცებიც კი, თუ საჭირო იქნება, მონაწილეობას მიიღებენ დამოუკიდებლობისათვის ომშიო.

**ბუდაპეშტი**. ოფიციალურ გაზეთის განსაკუთრებულ დამატებაში გამოქვეყნებულია იმპერატორის რესკრიპტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეწყნარებულ იქმნა მთელის კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომის თხოვნაო. ამასთან იმპერატორი მადლობას უცხადებს კაბინეტს შრომისათვის. განსაკუთრებულის რესკრიპტით ებოძა ბანფის ორდენის წმ. სტეფანეს ნიშნები. გამოქვეყნებულია, რომ მინისტრი ერდელი, პერგელი, ბარონ დანიელი დათხოვნილ იქმნენ და კოლომონ სელლი დანიშნულ იქმნა მინისტრ პრეზიდენტად და დროებით შინაგან საქმეთა მინისტრად. ხელ-ახლა დანიშნულ იქმნენ მინისტრებად: ფეიერვარი, ლუკაჩი, ვლასიჩი, დარანიი, ეისი, სეჩენიი. ახალი მინისტრები: სტატს-სეკრეტარი პლოს— სჯულის საქმეთა მინისტრად და დეპუტატი გეჩედიუს—ვაჭრობის მინისტრად. ლუკაჩს ებოძა ორდენი ლეოპოლდის 1 ხარისხისა.

16 თებერვალი

**პეტერბურგი** შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებული კომისია აცხადებს, რომ ქალაქ ჯედდაში, გეჯასში შავი ჭირი გაჩენილა.

**პარიზი**. სენატი. ბისეილი ამბობს, რომ გასახილველ კანონ-პროექტს არ ეწოდება გარემოებათა მიერ გამოწვეულ კანონის სახელი. ეს კანონი იქამდე მიიყვანს საქმეს, რომ იმ მართლ-მსაჯულების ადგილის, რომელსაც ყველა სცემს პატივს, დაიჭერს საეჭვო მართლ-მსაჯულება, (ტაშის ცემა). ქირო წინააღმდეგია პროექტისა. ლამარზელი ამტკიცებს, რომ მაზოს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებათა გამო საჭიროა პროექტის შეწყნარება. ბერანჟემ განაცხადა, რომ არასოდეს არ მივემხრობი იმ პროექტს, რომელიც არღვევს 1879 წლის პრინციპს. ორატორი ამბობს, მე ჩემი აზრი არა მაქვს შედგენილი დრეიფუსის საქმეზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს საქმე ხელმეორედ უნდა იქმნეს განხილულიო. ორატორი ჰკიცხავს მთავრობას იმის გამო, რომ მან გამოძიება ჩააბარა მაზოს და ჰკიცხავს ბორეპერს. ბერანჟე ამტკიცებს, რომ ჯარი მიყვარს, მაგრამ ჯარის ზოგიერთმა უფროსებმა დანაშაული ჩაიდინესო. ბერანჟე ამბობს, რომ ჯარი ცალკე უნდა იყოს იმ ამბებისაგან, რომელიც ეხლა ხდებაო. ფრეისინე ამის წინააღმდეგია. იგი ამტკიცებს, რომ ჯარი ერთგულია კანონისა, წესიერებისა და თავისისის მოვალეობისა. ეჭვს გარეშეა, რომ ჯარი ერთგულია თვისის მოვალეობისა და ეს ერთგულება არაოდეს არ შემცირებულა. (ტაშის ცემა) ბერანჟემ უპასუხა, ფიქრადაც არა მქონია ჯარის შეურაცხებაო. კრება ხვალისათვის გადიდო.

**პარიზი**, მონარქისტების კომიტეტის გაჩხრეკის დროს იპოვნეს სურათები ჰერცოგის ორლეანელისა, მიწერ-მოწერა პროვინციელ კომიტეტებთან და სამფეროვანი დროშა სუმბულით შემკული.

**პეკინი**. 25 თებერვალს რამდენსამე გერმანელს ტიანძინში შეურაცხება მიაყენეს და იძულებულ იყვნენ ვიწრო ქუჩებში დამალულიყვნენ.

---


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

## იმერული სცენები

შეკრებილი კ. მესხის მიერ

ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12 7)

---

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

მ. ღოღიძის გამოცემული წიგნები:

რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცახელისა . 1 კ.
ნათელა, პოემა აკაკისა . 20 კ.
ანამზრდელი, მისივე . . „
გოდა . . . . . . . . 5 „
საუკეთესო ლექსა კრება . 5 “
მარო, დ. მაჩხანელისა . 3 „

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად პოემების კრებული

ჩრდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი . . . 5 კ.

(50—11)

---

### იაკობ გოგებაშვილის წიგნები

**ხხივი ვარსულისა**, ისტორიული ამბავი, ფასი ერთი შაური.

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**, ისტორიული მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

**მოსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი აბაზი.

**თავდადებულნი ქართველნი**, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

**ასპინძის ომი**, ისტორიული მოთხრობა, მეფე ერეკლეს პარტრეტით და ქარტით, მეორე გამოცემა, ფასი ორი შაური.

**РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванію по русскому слоу, -გამოცემა მეორე, შევსებული, ფასი ყდით სამი აბაზი.

**ОЧЕРКЪ**, сравнительной грамматики русскаго и грузинскаго языковъ ფასი ერთი აბაზი.

**КЪ ВОПРОСУ**, поднятій уровня образованія среди грузинскаго дворянства, ფასი ერთი აბაზი.

**РАЗБОРЪ**, учебныхъ руководствъ по русскому языку, ფასი ერთი შაური.

**НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО**, ფასი ერთი აბაზი.

ყველა ეს წიგნები იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და დასავლეთ საქართველოში წიგნის მთავარ მაღაზიებში: ბეჟანეიშვილთან, თავართქილაძესთან, წერეთლებთან, ხეთერელთან და ჭილაძესთან. (6—4)

---

1899. **ОТКРЫТА ПОДПИСКА** 1899.

**НА ЕЖЕДНЕВНУЮ, ПОЛИТИЧЕСКУЮ, УЧЕНУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТ[У]**

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

# СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

**годъ изданія 87-й** ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ **годъ изданія 87**

издаваемую Спб. Акціон. Обществомъ печатнаго дѣл „Издат[ель]“ подъ редакціей **А. К. Шеллера (А. Михайлова)**.

Въ будущемъ году газета будетъ выходить при участіи Л. А. Авил[ова], К. С. Баранцевича, В. В. П. П. Веймарна, Н. Г. Гарина (Михайловс[каго]), М. Б. Городецкаго, П. В. Засодимскаго, И. Ивансвича, С. Н. К., [...] Максимова, Д. Н. Мамина-Сибиряка, Г. А. Мачтета, К. В. Назарьевой, И. Немировича-Данченко, И. Н. Потапенко, Н. О. Пружанскаго, Э. [...]ова. Н. А. Рубакина, А. Сакмарова, А. М. Скабичевскаго, М. Слю[...]нина, К. М. Станюковича, В. А. Тимирязева, А. М. Хирьякова, А. К. [Шел]лера и др.

В ежедневныхъ нумерахъ газеты „*Сынъ Отечества*“ помѣщаются: руководящія статьи и замѣтки, литературы науки, экономической и общественной жизни во всѣхъ ея проявленіяхъ, административныя и придворныя извѣстія, также корреспонденція какъ заграничныя, такъ и внутреннія телеграммы (внутреннія и иностранныя): статьи по военному дѣлу, сельскому хозяйству, историческія статьи и за[мѣтки], торгово-промышленныя и биржевыя свѣдѣнія, судебные отчеты литератур[ные], театральныя и музыкальныя рецензіи, библіографіи, біографіи и некрологи современныхъ общественныхъ дѣятелей, [фель]етонъ общественной жизни и беллетристика, русская, и иностранная.

**Кромѣ ежедневныхъ нумеровъ газеты, годовые подписчики получатъ:**

**52 НУМЕРА ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ** печатаемыхъ въ [видѣ] **еженедѣльнаго журнала**, гдѣ помѣщается: историческіе и современные романы, повѣсти, разсказы, стихотворенія научныя, новости и з[а]... частъ болѣе:

**300 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ РИСУНКОВЪ:** портреты историческихъ и современныхъ общественныхъ дѣятелей, историческія, бытовыя и современныя иллюстраціи, а также карикатуры, шахматныя, шашечныя з[адачи] и проч., что въ теченіе года составитъ большой сборникъ интересныхъ литературныхъ произведеній и иллюстрацій.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА на первое изданіе (съ доставкою):**

**на годъ—8 р. на полгода—4 р. на три мѣсяца—2 р. на одинъ мѣс.—1**

**ВТОРОЕ ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ «СЫНЪ ОТЕЧЕСТВА»**

ВТОРОЕ ИЗДАНІЕ „Сына Отечества“ является не сокращеннымъ [изда]ніемъ большого изданія, а представляетъ собою самостоятельную газету, въ которую входятъ телеграммы, хроника и общеинтересный матеріалъ и въ которой имѣются особые отдѣлы (сельско-хозяйственныя свѣдѣнія, научныя мелочи, обиходная [литера]тура и т. п.).

ВТОРОЕ изданіе представляетъ собою въ Россіи первое дешевое [еже]дневное изданіе съ иллюстраціями.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА на второе изданіе (съ достав. и пер. с. по Россіи).**

На годъ—4 руб. На полгода—2 руб. На три мѣсяца—1

ЗА ГРАНИЦУ: на годъ—10 р., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ: СПБ., НЕВСКІЙ ПР. № 68—40**, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ, какъ столичныхъ такъ и провинціальныхъ.

(8—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Февраля 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. მ[...]